რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია
პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბრძოლა

შაბათი, 9 დეკემბერი 1917 წ.

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1. Для груз. газ. „Брдзола“. კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола“. გაზეთი ღირს წლის ბოლომდე 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 51 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. სათემო და თბილისის კომიტეტების ორგანო. № 51

# ზავზე მოლაპარაკება უკვე დაიწყო

## გაუმარჯოს ზავს. გაუმარჯოს რევოლიუციას.

## გაუმარჯოს საბჭოების რევოლიუციონურ მთავრობას.

მუშებო, სალდათებო, გლეხებო, მედგრათ დაუჭირეთ მხარი მუშების და გლეხების მთავრობას!

## ქუთაისის გუბერნიაში

მოქმედ ორგანიზაციების და ჯგუფების საყურადღებოთ, ქუთაისის რ. ს. დ. მ. პ. (უმრავლესეთა) კომიტეტი აცხადებს, რომ ყოველივე მიწერ-მოწერა და ორგანიზაციების მუშაობის შეკავშირება-შეთანხმება ევალება ამხ. ვას. კანდელაკს. მისამართი მისი (Кутаисъ. Госпитальная № 26).

### ვისთან არიან?

გაფთრებული ბრძოლა სწარმოებს სახალხო კომისარების საბჭოს წინააღმდეგ. საბჭო კი განაგრძობს თავის გზით მარშს და თითონაც დაუზოგავათ ებრძვის მოწინააღმდეგე ძალას.

ვინ არიან სახალხო კომისარები, რას წარმოადგენს მათი საბჭო? ეს ახალი მთავრობა, რომელიც დაფუძნდა ოქტომბრის რევოლიუციის დღეებში ქერენსკის მთავრობის ნანგრევებზე, ის წარმოადგენს მთელი რუსეთის მუშათა, სალდათთა და გლ. საბჭოებს და მასთან მას ხელ-ში მთელი ქვეყნის მართვა-გამგეობა. პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა—აი ვის ინტერესებს იცავს სახალხო კომისარების საბჭო; შეიარაღებული მუშები—წითელი გვარდია და რევოლიუციონური ჯარი—აი ვინ იცავს საბჭოს მტრის თავდასხმიდან.

ვინ ებრძვის ამ ახალ მთავრობას?

ყველა ხალხის მტერი და პირველ ყოვლისა მემამულეები და ბურჟუაზია.

მემამულეები ებრძვიან ხალხის მთავრობას, რადგან მან მიწა ჩამოართვა მემამულეთა კლასს და ის გლეხობას გადასცა.

ბურჟუაზია ებრძვის ხალხის მთავრობას, რადგან მან კონტროლი დააწესა წარმოებაზე, აღვირი ამოსდო ბურჟუაზიის ფარფაშს, სასტიკი ომი გამოუცხადა ჩარჩ-სპეკულიანტებს.

ორივე ეს კლასი დაუნდობლათ ებრძვის ხალხის მთავრობას, რადგან მან გადაჭრილათ გაილაშქრა ომის წინააღმდეგ, რევოლიუციონური ნაბიჯები გადადგა მის დასაბოლოებლათ, შეამზადა ნიადაგი სამართლიანი ზავის დასამყარებლათ.

ბუნებრივია ეს ბრძოლა, აუცილებელია. ან კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მისი ბატონობა, ან რევოლიუციონური ხალხი და ძალა-უფლება ან ერთი მუჭა მუქთა ხორა მდიდრების კიდევ უფრო გამდიდრება, ან წელში გაწყვეტილ ხალხის სიღატაკიდან თავის დაღწევა. ან მტარვალობა, ან თავისუფლება. ან ძველი და ძველზე უარესი, ან ახალი და განახლებული ცხოვრება.

ზავი, მიწა და თავისუფლება—აი რა დროშას ემსახურება სახალხო კომისარების საბჭო.

ომი, უმიწობა და მონობა—აი რას ემსახურებიან ყველა მისი მტრები და მოწინააღმდეგენი.

მათ შორის ბრძოლა აუცილებელია. ბრძოლა სწარმოებს, ეს არის ბრძოლა რევოლიუციასა და კონტრ-რევოლიუციას შორის, ერთს მეთაურობს ლენინი, მეორეს კალედინი.

ლენინთან არის პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, რევოლიუციონური ჯარი და მატროსები. კალედინთან არის კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები, კარგათ ცნობილი კაზაკები და იუნკრები, გენერლები და აფიცრები, ბურჟუაზიული ინტელიგენტები და ყველა ბურჟუის შვილები.

ლენინთან არის ყველა მშრომელთა და ტვირთ-მზიდეთა სახელოვანი ლაშქარი, კალედინთან არის ყველა მუქთა-ხორათა და მტარვალთა ჯოგი.

ორი ბანაკი, ერთმა მეორე უნდა დაამხოს.

ორი პარტია, რომელიც ამ ბრძოლას მეთაურობს: ერთ მხარეს დგას პროლეტარიატის პარტია—ბოლშევიკები, მეორე მხარეს—ბურჟუაზიის პარტია—კადეტები. მათ შორის სწარმოებს სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლა.

სად არიან სხვა პარტიები? სად არიან მენშევიკები და ესერები? რომელ მებრძოლ ბანაკს ემხრობიან ისინი, ვის წინააღმდეგ იბრძვიან?

ისინი გვებრძვიან ჩვენ, ბოლშევიკებს, გვებრძვიან ისე, როგორც გვებრძვიან კადეტები, არც მეტათ და არც ნაკლებათ.

მათ გულზე ხეთქავს ბოლშევიკების გამარჯვება და ყოველი ზომით მზათ არიან მათ დასამხობათ, ისინი მშვენივრათ შეეწყვენ კერენსკის მოღალატე მთავრობას და თითიც არ გაუნძრევიათ მის წინააღმდეგ, ისინი ვერ ინელებენ ლენინის მთავრობას, რომელიც შეუბრალებლათ ებრძვის ომს, მემამულეებს, ბურჟუაზიას და თავგანწირვით ემსახურება მშრომელ ხალხს.

კერენსკის კონტრ-რევოლიუციონური თარეში მათთვის წარმოადგენდა კაშკაშა მზიან დღეს, ხოლო ლენინის რევოლიუციონური სოციალისტური მოღვაწეობა წარმოადგენს მათთვის შავბნელი უკუნეთ მოცულ შუაღამეს.

მათთვის კერენსკის დრო დღე იყო, ლენინის დრო ღამეა. და აი ისინი ცდილობენ კვლავ გაითენონ დღე, კვლავ დააბრუნონ კერენსკის დრო, ის დრო, როდესაც ომის გაგანგრძლივებამ, ეკონომიური ცხოვრების არევდარევამ, უპურობამ, კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზიის ბატონობამ წელში გასწყვიტა ხალხი და ქვეყანა უფსკრულის პირამდე მიიყვანა.

მენშევიკები და ესერები, ეს ყოფილი სოციალისტები და რევოლიუციონერები, გვებრძვიან ჩვენ და არა კადეტებს, გვებრძვიან ჯორჯერობით ჭორით, პროვოკაციით, ინსინუაციით.

მათ ხელშია ფოსტა და ტელეგრაფი, რომლითაც მონოპოლიურათ სარგებლობენ. ისინი მალავენ ყველა იმ ფაქტებს, რომლებიც რევოლიუციისთვის სასიკეთოა და აქვეყნებენ ჭორებს კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების შესახებ.

კალედინი მძვინვარებს ჩრდილო-კავკასიაში, ანადგურებს სოფლებს და ქალაქებს, კრავს ამიერ-კავკასიის მკვებავ გზებს და მით ცდილობს კონტრ-რევოლიუციონური მთავრობა აღადგინოს. მის წინააღმდეგ ცენტრალური რუსეთიდან იძვრის რევოლიუციონური ექსპედიცია, რომელიც ცდილობს ქვეყანა დაიხსნას ამ გათახსირებული კონტრ-რევოლიუციონერიდან. აქვე, ორი ნაბიჯის სიშორეზე მყოფი მენშევიკ-ესერები კი, რომელთაც დღესაც ხელში აქვთ მთელი ძალა-უფლება, ყურსაც არ იბერტყენ.

დეე, იფართაშოს კალედინმა, რით უნდა გაილაშქრონ მის წინააღმდეგ მენშევიკ-ესერებმა, ის ხომ ლენინს ებრძვის და ლენინის დამხობა ხომ ამათაც გულით უნდათ. გულით უნდათ და თუ მიშველებაა, ისინი სწორეთ კალედინს მიეშველებოდენ, მარა კავკასიის ჯარი რევოლიუციონერია და კალედინებთან მან მხოლოთ ბრძოლა იცის. დიახ, მენშევიკ-ესერები მიეშველებოდენ კალედინს, მარა ცარიელი ხელით ვერას გააწყობენ; ჯარი კი საიმედო არ არის.

ისინი კალედინთან არიან ლენინის წინააღმდეგ.

### პროვოკატორების განგაში.

პროვოკატორები არა სცხრებიან. ისინი თანდათან უმატებენ ბოლშევიკების წინააღმდეგ განგაშს, ისინი უფრო გაბედულათ აწარმოებენ კონტრ-რევოლიუციის პოლიტიკას. ქუჩაში და გაზეთებში ერთი მეორეზე უცნაურ და უხამს ხმებს ავრცელებენ, ხალხს აფრთხობენ, აშინებენ და მით ფიქრობენ თავისი შერყეული ბატონობა გაამაგრონ.

კავკასია ფაქტიურათ ცენტრალურ რუსეთს მოწყვეტილია,—აღარ მუშაობს ტელეგრაფი, მაგრამ პროვოკატორებს მუდამ მზათ აქვთ ცხელ ცხელი ამბები. პეტროგრადი აიღეს გერმანელებმა, ტახტზე ადის ნიკოლოზის შვილი ალექსი, ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს—აი რა სენსაციური ამბებით კვებავენ თბილისელი ობორონცები—მენშევიკები და ესერები ამიერ-კავკასიას, რომელმაც დიდი ხანია აღარ იცის, თუ რა ხდება ნამდვილათ რუსეთში.

ხალხი მოწყურებულია ნამდვილ ცნობებს ზავის შესახებ, სახალხო მთავრობის მოღვაწეობის შესახებ, ობორონცები კი მას თავისი ავად-მყოფი ფანტაზიის ნაყოფით უმასპინძლდებიან. ამ ხანათ მათ ხელზე დაიხვიეს დამფუძნებელი კრება და ისეთი კორიანტელი ააყენეს მის გარშემო, რომ ყურთა სმენა აღარ არის.

რაშია საქმე? მართლა გარეკეს ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება?

არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. დამფუძნებელი კრება ჯერ არც შეკრებილა და მაშასადამე მისი არც გარეკა

შეიძლებოდა. რუსეთის მომეტებულ ნაწილში ჯერ არც კი დამთავრებულა არჩევნები, არ დამთავრებულა ის თვით კავკასიაშიაც, რის ბრალიც, ყველამ ცის, რომ ბალშევიკებს არ დაედება. მაშ შეუკრებელი დამფუძნებელი კრება როგორ უნდა გაერეკა ბალშევიკებს?

გულდასმით წაიკითხეთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში მოთავსებული მოწოდება სახალხო კომისარების საბჭოში კადეტების შეთქმულების შესახებ და თქვენ აშკარათ დაინახავთ, თუ რა აკვნესებთ ბალშევიკების წინააღმდეგ მოგანგაშეთ. ოციოდ კადეტ-ესერმა გადასწყვიტა არავისთვის ანგარიში არ გაეწია, და 800 დეპუტატის ნაცვლათ თავის თავი დამფუძნებელ კრებათ გამოეცხადებია, აი ამ უზურპატორების წინააღმდეგ მიიღო ზომები სახალხო კომისარების საბჭომ და ნება არ მისცა მათ ხალხის ნება და სურვილი გაეყალბებინა. აი ესენი არ შეუშვა მან თავრიდის სასახლეში, რომ იქ მათ კონტრ-რევოლიუციონური საქმე არ ეწარმოებიათ. ეს იყო და ეს. სად არის აქ დამფუძნებელი კრება, სად არის აქ მისი ძალით გარეკა?

მაგრამ პროვოკატორებს უნდათ, რომ ასე იყოს, მათ უნდათ ხალხის მთავრობის წინააღმდეგ ხალხი აამხედრონ, რომ ისევ ბურჟუაზიას ჩააბარონ ქვეყნის სვებედი.

მწარეთ სცდებიან. მათი საყვარელი ბურჟუაზია ვეღარ იხილავს იმ დროს, რომ ხალხი ძველებურათ იტანდეს მტარვალების ფარფაშს, ბურჟუაზია სამუდამოთ უნდა გამოეთხოვოს ძალა-უფლებას. მას ადგილი არა აქვს ხალხთან.

თვით ობორონცებიც ვერ შეაბერდებიან დამფუძნებელ კრებას. ახალი კანონით ხალხს მუდამ აქვს უფლება უკან გამოიწვიოს თავისი დეპუტატები, როცა ხედავს, რომ ისინი არ იცავენ ხალხის ინტერესებს. ხალხი თავისი მუდმივი კანტროლის ქვეშ აყენებს თავის წარმომადგენლებს და როგორც კი ატყობს მას რაიმე მუხანათობას, მაშინვე შეუბრალებლათ ხდის მას თავის ნდობას და მის მაგიერს ირჩევს. ამისთვის საჭირო არ არის რაიმე ვადა, ეს ხალხის კანტროლის უფლება უვადოა. და სწორეთ ამ უფლებით შეუძლია დაიცვას ხალხმა თავისი ინტერესები და არ გახდეს მსხვერპლი რომელიმე პირის და თუნდ მთელი პარტიის მუხანათური პოლიტიკისა.

ეს ბოლომდე დაცული დემოკრატიზმი არ მოსწონთ ობორონცებს; მათ უნდათ ხალხის ნდობით აღჭურვონ და ისე აკეთონ ბურჟუაზიასთან საქმე, რომ ხალხს აღარაფერი კითხონ.

აი რატომ ყვირიან ისინი სახალხო კომისარების საბჭოს წინააღმდეგ, რომელმაც ეს უძვირფასესი უფლება ხალხს მიანიჭა.

დამფუძნებელი კრება ჯერ არ შეკრებილა. სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა გახსნას დამფუძნებელი კრება, როგორც კი შეიკრიბება მისი ნახევარი, ე. ი. 800 დეპუტატიდან 400 მაინც.

მართალია იქ არ მოყვებიან კადეტები, ეს კორნილოვ-კალედინის სულის ჩამდგმელები, მაგრამ მათი დაკლება არ ნიშნავს დამფუძნებელი კრების გარეკას.

ვინც წინააღმდეგს ამტკიცებს, ვინც ამბობს, რომ დამფუძნებელი კრების წევრს ხელი არ უნდა ვახლოთ, თუნდაც ის აშკარა კონტრ-რევოლიუციონერი იყოს, ამით ამტკიცებს, რომ თვით მას მეტი ნათესაობა და მისწრაფება აქვს კონტრ-რევოლიუციასთან, ვიდრე რევოლიუციასთან.

დამფუძნებელი კრება ხალხის უნდა იყოს, იქ ხალხის მტრებს ადგილი არ უნდა ექნეს. ხალხი ერთ დღესაც არ აცოცხლებს კადეტურ დამფუძნებელ კრებას, რომელიც ზავის დამყარების მაგიერათ ომს მოაბრუნებს, ხალხის სრულ-უფლებიანობის ნაცვლათ ბურჟუაზიის თვითმპყრობელობას გაამაგრებს.

დამფუძნებელი კრება უეჭველათ შეიკრიბება და იქ მოყვებიან მშრომელი ხალხის, ბურჟუაზიის მიერ დაჩაგრულ დაბეჩავებული კლასების წარმომადგენელნი.

ამ უმაღლესი კრების მოწვევა გულში ლახვრათ ესობა ბურჟუაზიას, მის დაძცველ ლაქიებს, ყველა ჯურის პროვოკატორებს.

ცხარეთ იტირონ მათ და მწარეთ იკვნესონ. მათთვის შუაღამე დგება. მშრომელი ხალხის დღე ახლა თენდება.

ძირს ბურჟუაზია!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!

# პრესა.

ობორონცების გაზეთი „იზვესტია" ცოფებსა ყრის ბალშევიკების წინააღმდეგ. მას შეძლება ქონდა თავის ნომერი გამოეშვა მაშინ, როდესაც სხვა გაზეთები ვერ გამოვიდნენ და ეს მონოპოლიური მდგომარეობა მან გამოიყენა სენსაციების გასავრცელებლათ. ბალშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს —აი რას გვაუწყებს ეჭვ-შეუტანელი კილოთი ეს გაზეთი.

მერე საბუთი? არავითარი.

გაზეთში მოთავსებულია ერთი დეპეშა, სადაც ნათქვამია: „30 ნოემბერს დამფუძნებელი კრების წევრთა თათბირი გარეკილ იქმნა მატროსების შეიარაღებული ძალით. ზოგიერთი წევრებს ძალადობა მიაყენეს."

ეს არის მთელი საბუთი. ეს თათბირია და არა დამფუძნებელი კრების უფლება-აღჭურვილი სხდომა. თათბირიც ალბათ იმიტომ გამართეს, რომ მხოლოთ ზოგიერთმა წევრმა მოიყარეს თავი და ძალიან ბევრი აკლდა კვორუმს.

ჩვენ არ ვიცით, რამდენათ სანდოა თვით ეს დეპეშა, მარა რ კი ის „იზვესტიას" სანდოთ მიაჩნია, წაკითხულის გაგებაც უნდა შეეძლოს. თუ გნებავთ, ამ დეპეშის მიხედვით შეიძლება ლაპაკრების თავისუფლების დარღვევაზე და არა დამფუძნებელი კრების გარეკაზე.

მაგრამ ჩვენ ვგონებთ, რომ მარტოოდენ თათბირისთვის მატროსები არ გარეკავენ დამფუძნებელი კრების წევრებს. თათბირით ისინი, ალბათ, რამე პოლიტიკურ ნაბიჯს სდგამდენ და ამ ნაბიჯმა გამოიწვია მატროსების ამხედრებაც. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ როგორც თვით „იზვესტია" ამბობს, რუსეთის უდიდეს ნაწილს ჯერ არ მოუთავებია არჩევნები და ასეთ პირობებში კერძო თათბირიც შეიძლება მთლათ კადეტური იყო მათი მაჩანჩალა ობორონცების მიმატებით. ასეთი თათბირი რომ კაი ნაბიჯს არ გადასდგამდა, ეს ეჭვს გარეშეა.

ან იქნება „იზვესტიას" გონია, რომ ოციოდ კადეტმა რომ თავის თავი დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადოს, ეს უნდა მოითმინოს ხალხმა და მისმა მთავრობამ? თუ ასეა, „იზვესტია" იმათიც კმაყოფილი იქნება, თუ სრულ უფლებიანი დამფუძნებელი კრება კადეტური იქნება.

„იზვესტია" ამტკიცებს, რომ დამფუძნებელი კრება უეჭველათ გაკიცხავს ახლანდენ მთავრობას. რათა? იმიტომ რომ არა, რომ ის კერენსკის მთავრობის ნანგრევებზე აღმოცენდა? ან იმიტომ არა, რომ მან თავის პროგრამით წამოაყენა ზავი, მიწა და თავისუფლება და ანხორციელებს მას? ვინც უარყოფს ამ მთავრობას, ის უარყოფს მის პროგრამას და მას რევოლიუცია ვერ შეიწყნარებს.

ყოველ შემთხვევაში „იზვესტიას" მეტი საბუთი უნდა ქონოდა. როცა დამფუძნებელ კრების გარეკაზე ორ სტატიას სწერდა.

# კადეტების შეთქმულობა

ბურჟუაზიამ კადეტების პარტიის მეთაურობით, დამფუძნებელი კრების მოწვევის დროსვის მოამზადა მთელი თავისი ძალები, რომ კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალება მოახდინოს. ურალზე და დონზე კორნილოვმა, კალედინმა და დუტოვმა სამოქალაქო ომის დროშა აафრიალეს მუშების, გლეხების და სალდათების წინააღმდეგ. კალედინის თანაშემწე ბოგაევსკი აშკარათ აცხადებს, რომ აჯანყება დაწყებულია კადეტების პარტიის პირდაპირი მოთხოვნილებით; ამ პარტიამ დიდი ხანია ოფიციალური კავშირი შეკრა კაზაკების კონტრ-რევოლიუციონურ ნაწილთან. ურალზე კადეტების ბურჟუაზია ხელს უწყობს კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებას ფულით და სურსათით. ბელგრადთან მოხდა პირველი სისხლის მღვრელი შეტაკება რევოლიუციონური ჯარების ბურჟუაზიის რაზმებთან. ამნაირათ, კადეტების პარტიის თაოსნობით გაჩაღდა პირდაპირი სამოქალაქო ომი. ამ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ჟამათ წარმოადგენს ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალების შტაბს. ამ მუშაობის დროს, რომელიც საფრთხეს უმზადებს ზავის და რევოლიუციის მიერ მოპოებულ ყველა უფლებათა საქმეს, ის ეფარება დამფუძნებელ კრებას, ვითომ მას უნდოდეს მისი დაცვა. კადეტების საარჩევნო კომისია ისე აწარმოებდა თავის საქმეს, რომ გაურბოდა საბჭოებს და მალავდა ყველა ცნობებს არჩევნების შესახებ, რომ არ გამოაშკარავებულიყო კადეტების დამარცხება მანამდე, სანამ მილიუკოვ-კორნილოვ-კალედინ-დუტოვის კამპანია თავის საქმეს შეასრულებდა.

სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა გახსნას დამფუძნებელი კრება, როგორც კი შეიკრიბება მისი წევრების ნახევარი, ესე იგი 800 კაციდან 400 კაცი. ეს დადგენილება უარყოფს იმ გაბოროტებულ ცილისწამებას, ვითომ სახალხო კომისარების საბჭოს, რომელიც ეყრდნობა მთელი სახელმწიფოს მშრომელთა მასას, არ უნდოდეს დამფუძნებელი კრების მოწვევა. სწორეთ ამიტომ ბურჟუაზიამ ვეღარ მოუცადა, რომ კანონიერათ მოწვეულიყვენ ხალხის წარმომადგენლები. რამდენიმე ათეული კაცი, რომელთაც უწოდეს თავის თავს დეპუტატები და ამის საბუთები კი არავია არ წარუდგინეს, 27 ნოემბერს საღამოს შეცვივდენ შეიარაღებული თეთრ გვარდიელების და იუნკრების, რამდენიმე ათასი ბურჟუას და საბოტაჟის მონაწილე ჩინოვნიკების თანხლებით თავრიდის სასახლის ზალაში. კადეტების პარტიის მიზანი იყო, რომ კადეტურ-კორნილოვის კონტრ-რევოლიუციონური აჯანყებისთვის კანონიერი მფარველობა მოეპოვებინათ. რამდენიმე ათეული ბურჟუაზიულ დეპუტატის აზრი მათ უნდო[...] გაესაღებინათ, როგორც დამფუძნ[...] კრების აზრი, სახალხო კომისარ[...] საბჭო აცნობებს მთელ ხალხს ამ [...] ქმულობის შესახებ. ხალხის მიერ მო[...] ებული ყველა უფლებები და მოპ[...] ვებული ზავი საფრთხეშია. სამხრე[...] კალედინი, აღმოსავლეთში დუტ[...] დასასრულ პოლიტიკურ ცენტრში, [...] როგრადში, შეთქმულობა კადეტ[...] ცენტრალური კომიტეტისა, რომე[...] განუწყვეტლივ უგზავნის დახმარებას [...] ლედინს და კორნილოვს. ოდნავი [...] სუსტე ხალხს დაღუპავს საბჭო[...] მიწის რეფორმებს და გაამეფებს კაპი[...] ლისტების თვითმპყრობელობას.

ამ უდიდესი პასუხის მგებლობის [...] ლი შეგნებით, რომელიც ამ ჟამათ [...] საბჭოების მთავრობას, სახალხო [...] სარების საბჭო ხალხის მტრებათ [...] დებს კადეტების პარტიას, რო[...] კონტრ-რევოლიუციონური აჯანყ[...] მომწყობს. სახალხო კომისარების [...] მოგიწოდებთ არ დაყაროთ იარაღი [...] დეტების პარტიის და კალედინის [...] რების წინააღმდეგ ბრძოლაში. კონტ[...] რევოლიუციონური სამოქალაქო [...] პოლიტიკური ბელადები დატუსაღ[...] ლი იქნებიან, ბურჟუაზიული აჯანყ[...] ჩაქრობილი იქნება, რათაც უნდა [...] დეს. ამბრძოლაში სახალხო კომისარ[...] საბჭო მტკიცეთ ემყარება იმ დახმა[...] ბას და შეურყეველ ერთგულებას, [...] მელსაც უჩენენ რევოლიუციას რე[...] ლიუციონური მუშები, სალდათ[...] გლეხები, შეგნებული კაზაკები და [...] ლა პატიოსანი მოქალაქენი. დამფუძ[...] ბელ კრებაში ადგილი არ უნდა ქონ[...] ბურჟუაზიას—ამ ხალხის მტრებს, ა[...] ლი არ უნდა ქონდეთ იქ მემამულ[...] და კაპიტალისტებს. ქვეყნის დახსნა [...] უძლია მხოლოთ დამფუძნებელ კრ[...] რომელსაც შექმნიან წარმომადგენ[...] მშრომელი ხალხისა, გაყვლეფილი [...] სისა. გაუმარჯოს რევოლიუციას. გა[...] მარჯოს ზავს.

სახალხო კომისარების საბჭ[...]

## დამფუძნებელი კრების გარშე[...]

დილისით, თავრიდის სასახლის უმთ[...] რეს შესავალთან შეიკრიბა ბრბო 10[...] კაცამდე. მან უკან დასწია მცველებ[...] სასახლეში შეიჭრა ხალხის პატარა ნა[...] ლი. მათ შორის აღმოჩნდა დამფუძნ[...] ლი კრების 20 წევრი. მთელი ეს ბრ[...] არეულ-დარეულათ შეიჭრა სხდომის [...] ლაში და მისი ერთი მეათედიც [...] გაავსო.

დღის ორ საათზე სასახლეში დაიწ[...] თაეის მოყრა დეპუტატებმა 40 კაცა[...] რომელთაც ხელმძღვანელობს პეტერბურ[...] გის ქალაქის თავი შრეიდერი და მ[...] კოვისა — რუდნევი.

დეპუტატებმა გადასწყვიტეს მოეწყო[...] კერძო თათბირი, რომ გამოერკვიათ შე[...] დეგისთვის თავისი ტაქტიკა. თათბი[...] დახურული იყო. პრესის წარმომადგე[...] ლებს იქ არ უშვებდენ. თათბირის მ[...] ნაწილე იყვნენ ესერები და კადეტ[...] და ერთათ ერთი მენშევიკი სკობელე[...]

გამოირკვა, რომ მოსულთაგანაც მხ[...] ლოთ ნახევარს აქვს ფორმალური მა[...] დატები მათი არჩევის შესახებ, მეო[...] ნახევარს კი არაფერი არ გააჩნია გა[...] კერძო შეუმოწმებელი ცნობებისა. სხდომის გახსნის წინ რუდნევი აკე[...] რომ საჭიროა თავმჯდომარის არჩე[...] წამოაყენეს ორი კანდიდატურა—შრე[...] ერის და ჩერნოვისა. ჩერნოვი იქ [...]

...ფება, ამიტომ რუდნევი იძლევა წი-...დებას—აირჩიონ ჯერ შრეიდერი, ...ორც უხუცესი ამ კრებაზე და მერე ...ჯდომარეობას ჩერნოვი გასწევსო. ...წინადადება მიიღეს.

...რეიდერმა დაიკავა თავმჯდომარის ...ილი და მიმართა კრებას შემდეგი ...ყვებით:

...მ მევალება გავხსნა პირველი დამფუ-...ბელი კრება. მოგესალმებით თქვენ, ...ხის მიერ არჩეულნო, რომლებმაც ...ა გადასწყვიტოთ დიადი კითხვები ...სა, მიწისა და ხალხთა ძმობის ...ხებ.

...ირველ სხდომას გახსნილათ ვაცხადებ" ...დამფუძნებელი კრების წევრი და ამა-...დროს წევრი მთელი რუსეთის საარ-...ნო კომისიისა ვიშნიაკი აკეთებს მოხ-...ნებას არჩევნების შესახებ, ეს ცნობე-...მეტათ შეკვეცილია, ცნობები არის ...ლოთ ექვსი გუბერნიის შესახებ და ...ც არა-სრულათ.

...თელი რუსეთის საარჩევნო კომისიის ...ობებით ჯერჯერობით არჩეულია მხო-...ოთ 50 დეპუტატი.

...ამის შემდეგ შრეიდერი წინადადებას ...ევს კრებას გამოარკვიონ კითხვა, ...ა აქვს გადამწყვეტი ხმა ამ კრებაზე ...დნევი წინადადებას იძლევა—დროე-...თ ყველას მიეცეს გადამწყვეტი ხმა, ...საწინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო მათზე ...ამ შევჩერდეთ ვისაც ფორმალური სა-...ფუძველი აქვს, დღევანდელი სხდომა მეტათ ...მცირე-რიცხოვანი იქნებაო. შემდეგ ესე-...რების ფრაქციის სახელით მას წინადა-...დება შემოაქვს, რომ ჩამოსული დეპუ-...ტატები ყოველ დღე იკრიბებოდენ თავ-...რიდის სასახლეში და ამ კრებამ თითონ ...გადასწყვიტოს, რამდენი დეპუტატის ...დასწრება საჭირო, რომ გაიხსნას პირ-...ველი სრული სხდომა დამფუძნებელი ...კრებისა და ამ კრებამ უნდა გამოიმუშა-...ვოს ფორმა დამფუძნებელი კრების დღე-...სასწაულებრივი გახსნისა.

...დარბაზში გამოჩნდება საგანგებოთ გამო-...წვეული ჩერნოვი, რომელიც იჭერს თავ-...მჯდომარის ადგილს და მიმართავს დე-...პუტატებს სიტყვით, სადაც აღნიშნავს ...დამფუძნებელი კრების და კერძოთ ამ ...მომენტის მნიშვნელობას.

...როგორც სჩვევია, ის მეტათ გრძლათ ...და არტისტულათ ლაპარაკობს. ბოლშე-...ვიკების შესახებ ის ამბობს: „დამფუძნე-...ბელი კრების გახსნის დღიდან მთელი ...ძალა-უფლება რუსეთში მის ხელთ გადა-...დის, როგორც ხალხის ერთად ერთ წარ-...მომადგენელთან, ყოველივე სხვა ძალა ...უზურპაციაა და მის მატარებელთ ისე ...უნდა მოვეპყრათ, როგორც უზურპატო-...რებს. ეხლანდელი მთავრობის მიერ გა-...მოცემული დეკრეტები ჰაერში სროლაა.

შემდეგ ჩერნოვი სხდომას ხურავს.

---

## თბილისის მუშათა და სალდათთა საბჭოს დეპუტატების სხდომა.

4 დეკემბერს სახალხო სახლში შესდგა მუშათა და სალდათთა დეპუტატების საბჭოს სხდომა. პირველი კითხვა იყო სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამ მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: ხელახალი არჩევნები თითქმის სრულიათ დამთავრებულა მხოლოთ სალდათთა სექციაში; მუშათა სექციაში კი არჩევნები ჯერჯერობით თითქმის სულ არ დაწყებულა. სალდათთა სექციაში აურჩევიათ დაახლოვებით 320 დეპუტატი. მათი ფრაქციული შემადგენლობა დაახლოვებით ასეთია: ბოლშევიკები—126, ესერები—85, მენშევიკები—44, დაშნაკები—26, ფედერალისტები—9, კადეტები—4, უპარტიონი—25.

საეჭვო მანდატი იყო რამდენიმე, რომლებიც სხვებთან ერთად სხდომამ დაამტკიცა.

კრებას თავიდანვე დაჰყვა ერთი უნორმალობა: სალდათთა საბჭო—განახლებული, მუშათა საბჭო კი—ძველი. აქედან ცხადი იყო, რომ ეს ორი სექცია ვერ შეადგენდა ერთ გაერთიანებულ საბჭოს, რომელსაც უფლება ექნებოდა გამოეტანა პრინციპიალურ-პოლიტიკური რეზოლიუციები.

უნდა გადადებულიყო გაერთიანებული სხდომა მანამ, სანამ მუშათა სექცია არ განახლდებოდა, მარა ეს ასე არ მოხდა და ორმა სექციამ, ერთმა ახალმა და მეორე—ძველმა, განაგრძო სხდომა ერთად.

მეორე კითხვათ იყო: მოხსენებები თფილისის 29—30 ნოემბრის ამბების ე. წ. „წითელი" გვარდიის შესახებ. პირველ საგანზე მოხსენება გააკეთა ნ. ჟორდანიამ, რომელიც შეეცადა ობორონცულ აღმასრულებელ კომიტეტის სამარცხვინო საქციელი „სამხედრო წესების" გამოცხადების და 29—30 ნოემბერს მომხდარ არსენალის დარბევის, პროვოკაციის, ბოლშევიკურ გაზეთების დახურვის, ბოლშევიკების დატუსაღების და სტამბების დარბევა-აწიოკების საქმეში—გაემართლებია. მან ხელზე დაიხვია ამხ. შაუმიანის მიერ პეტროგრადში გაგზავნილი, განძრახ გადამახინჯებული დეპეშის შინაარსი, რომელიც თურმე გამხდარა ერთად ერთ მიზეზათ მენშევიკ-ესერების პროვოკატორულ ავანტიურისა. შემთხვევით სხდომას ამხ. შაუმიანიც დაესწრო, რომელმაც შეადარა ნამდვილი ტექსტი (შინაარსი) მის მიერ გაგზავნილი დეპეშის მენშევიკ-ესერების მიერ გამოქვეყნებულ დეპეშას და დაამტკიცა, რომ ამათ განძრახ დაამახინჯეს დეპეშის ნამდვილი შინაარსი, რათა თავი გაემართლებიათ ხალხის თვალში.

დეპეშის შესახებ გამოირკვა შემდეგი: ამხ. შაუმიანი სწერდა: აქ, ამიერ კავკასიაში ჯარის უმეტესობა ჩვენს მხარეზეა, ბაქოში კი—პროლეტარიატიც ჩვენ გვიჭერს მხარს. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, რომ საჭირო იყოს, დავეყრდნოთ ამ ძალას და ადგილობრივი მთავრობა (ობორონცული კომისარიატი) ვაიძულოთ, რათა სცნონ ცენტრალური (ლენინის) მთავრობა. მოგვეცით დირექტივები (დადგენილებები), თუ როგორ მოვიქცეთ სამშვიდობო მოლაპარაკების დროს კავკასიის ფრონტზეო.

მენშევიკ-ესერებმა კი ეს დეპეშა ასე გადააკეთეს: ჩვენ შეგვიძლია ძალით ვაიძულოთ კომისარიატი სცნოს ლენინის მთავრობა მოველით დაუყონებლივ დირექტივებსო. ამნაირათ განსხვავება შემდეგია: მენშევიკების მიერ შეთხზულ დეპეშაში ლაპარაკია ხიშტების ძალაზე და განძრახ მოკვეცილია სიტყვები საზავო მოლაპარაკების შესახებ.

შაუმიანის დეპეშიდან შეუძლებელია ვინმემ გამოიტანოს დასკვნა, რომ ბოლშევიკები თბილისში დღეს ან ხვალ უეჭველათ აპირებენ კომისარიატზე თავდასხმასო. გადამახინჯებულ დეპეშიდან კი შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ.

მეორე მომხსენებელი—„ვაი"-ბოლშევიკი (ე. ი. ბოლშევიკი—სიტყვით, მენშევიკი—საქმით) ვ. ჯუღელი შეეხო მის მიერ შედგენილ ე. წ. „წითელი გვარდიის სასახელო „მოღვაწეობას" და სთქვა: ამ გვარდიის და მისი სახელოვანი სარდლის, ვ. გოგუაძის გმირული მოქმედებით ჩვენ შევძელით თითქმის სრულიათ უსისხლოთ არსენალის დაპყრობაო. ამ მოხსენებაში აღსანიშნავია რამდენიმე მომენტი. საწყალ ჯუღელს კიდევ ვერ გაუგია, რომ გმირული საქციელი გამოიჩინა სწორეთ არსენალის ყარაულმა (რომელიც ბოლშევიკებს თანაუგრძნობდა), რომელმაც არ მოისურვა მუშების სისხლის დაღვრა, თუმცა სულ ადვილათ შეეძლო ერთი პატარა ზალპით ერთ წამში გაეფანტა ეს გვარდია. ჯუღელმა ვერ გაიგო, რომ თუმცა მენშევიკების ლიდერებმა თავისი უგუნური საქციელით ხელი შეუწყვეს ჩვენი მუშების სალდათებთან სამკვდრო-სასიცოცხლოთ წაკიდებას, მარა ბოლშევიკურათ მოაზროვნე სალდათები მაინც არ წამოეგენ საშიშარ პროვოკაციის ანკესზე. ჯუღელმა არ მოისურვა მკრთალათ მაინც აღენიშნა ის, რომ მენშევიკების ავანტიურის წყალობით უპატრონოთ დარჩენილი არსენალი პირდაპირ დაარბიეს სხვადასხვა ჯურის ნაძირალებმა, რომლებმაც გაიტაცეს მრავალი იარაღი (ამბობენ: ათი ათასამდეო), რომელსაც ჩალის ფასათ ყიდდენ თურმე ბაზარზე. ჯუღელმა ვერ (ან: არ) აღნიშნა ერთი დიდი დეფექტი (ნაკლი) ამ გვარდიის, სახელდობრ: წითელი გვარდია, როგორც ორგანიზაცია მოწინავე მუშების, უნდა ემსახურებოდეს რევოლიუციის საქმეს და თავის ნაბიჯებს შეგნებულათ დგამდეს. 29—30 ნოემბერს კი ამ გვარდიამ ვერ გამოიჩინა! ვერც შეგნება (ის წამოეგო პროვოკაციის ანკესზე) და ვერც რევოლიუციონური დამოკიდებულობა—ის გახდა ობორონცული ბელადების ბრმა იარაღი.

ჩვენ დიდათ ვაფასებთ წითელ გვარდიას, მარა ისეთს, რომელიც თავგანწირულათ იბრძვის კონტრ-რევოლიუციის: კერენსკის, კორნილოვის, კალედინის, ყარაულოვის, დონსკოის და მათ დამქაშთა ლაშქარის წინააღმდეგ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი წვრილმანი: ჩვენ მამლაყინწა მომხსენებელს ზედმიწევნით შეუსწავლია გოგვაძის ბიოგრაფია (მაგ. თუ რამდენი ჟანდარმ-პროვოკატორი სად და როდის მოუკლავს მას); ვალოდია ჯუღელმა უდიდესი ხოტბა შეასხა ვალოდია გოგვაძეს. იყო კი საჭირო ეს წვრილმანი მოხსენებისათვის? ჩვენ ვფიქრობთ: არა. მაშ რათ დასჭირდა ეს? შეიძლება ეს გამოწვეულია უბრალო სახელის მოზიარეობით.

ასეთი იყო ორი მოხსენება, ასეთი იყო ორივე მომხსენებლის ტენდენციები: მენშევიკების პოლიტიკური სიბრძნის და შორს გამჭრეტელობის ქება-დიდება და ბოლშევიკების და მათი მიმდევარი სალდათების გაბათილება.

საჭირო იყო, რომ ასეთ მოხსენებებს დაპირდაპირებოდა კონტრ მოხსენება და ფართო კამათი, რომ კითხვა ს ვსებით გარკვეულიყო, მარა მენშევიკებმა ჩვეულებრივათ ისარგებლეს ხმის უმეტესობით და კამათი უდროოდროოს შესწყვიტეს. ამის გამო კრების ბოლშევიკურმა ნაწილმა (უმეტესათ, სალდათებმა) პროტესტი გააცხადა და კრება დემონსტრატიულათ დატოვა.

ამის შემდეგ მენშევიკ-ესერებს ფართო ასპარეზი დარჩათ სანავარდოთ: მათ ერთხმათ გამოიტანეს რეზოლიუცია, რომელშიც მათ მიერ გამოწვეული ამბები ბოლშევიკებს მოახვიეს თავზე.

---

## მუშათა საბჭოს დეპუტატების არჩევნები

ორშაბათს, 4 დეკემბერს შესდგა სტამბის მუშების საზოგადო კრება. გარდა გაფიცვის საკითხისა დღის წესრიგში იყო დეპუტატების არჩევნები. ასარჩევი იყო სულ ცხრა დეპუტატი. მიუხედავათ იმისა, რომ კრების თითქმის ყველა წევრი თხოულობდა არჩევნებს პროპორციონალური წესით—სამანდატო კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბჭოს მიერ მიღებული არჩევნების დებულების ძალით პროპორციონალური არჩევნები არ არის მიღებულიო. მიუხედავათ ამ განცხადებისა არჩევნები მაინც პროპორციონალურ ნიადაგზე მოხდა: წამოყენებული იყო ორი სია № 1 მენშევიკების და № 5 ბოლშევიკების. ორთავე სიაში ცხრა-ცხრა კანდიდატები იყვნენ დასახელებული. მენშევიკებმა ჩვეულებრივათ ასეთი შემთხვევისთვის წამოაყენეს „მძიმე არტილერია"—ალ. ლომთათიძე, ზაპასში კიდევ სხვებიც ყავდათ გამოგზავნილი, მაგრამ მათი დახმარება აღარ დარჩა საჭირო ლომთათიძეს უპასუხა ს. თოდრიამ. უკანასკნელი სიტყვა, როგორც მომხსენებელმა წარმოსთქვა კიდევ ლომთათიძემ,—რა თქმა უნდა თავიდან ბოლომდე პირველიც და მეორეც ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ კრებამ კამათი შესწყვიტა. სამანდატო კომისიის წარმომადგენლის ხელმეორეთ განცხადების შემდეგ, რომ არჩევნები პროპორციონალური არ შეიძლებაო დაშნაკელები წავიდენ და არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. ხმის დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ მენშევიკების სიამ მიიღო 212, ბოლშევიკებისამ—137.

ამნაირათ თუ არჩევნები აღიარებული იქნება პროპორციონალურათ, მენშევიკებიდან გავლენ—6, ბოლშევიკებიდან—3. თუ პროპორციონალური პრინციპი უარყოფილ იქმნა, მაშინ ყველა 9 დეპუტატი მენშევიკების გავლენ და ბოლშევიკების 137 ხმა რჩება უწარმომადგენლოთ.

საკითხი უნდა გადაჭრას ახალ არჩეულ საბჭოს კრებამ.

---

## სტამბის მუშების გაფიცვა.

კვირის ნომერში ჩვენ გვქონდა მოთავსებული ცნობა, რომ ორშაბათიდან მოსალოდნელია სტამბის მუშების საერთო გაფიცვაო. ორშაბათს გაფიცვა მართლაც დაიწყო. რა თქმა უნდა საერთო გაფიცვაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი პარტიული გაზეთების მუშებმაც (მათი გაფიცვაში მონაწილეობა მხოლოთ თანაგრძნობითი იყო.) ორშაბათსვე შესდგა სტამბის მუშების საზოგადო კრება კრებაზე დასმული იყო საკითხი სოციალისტური გაზეთების გამოშვების შესახებ, მაგრამ კრების უმრავლესობამ გაფიცვის მწყობრათ ჩატარებისთვის აუცილებლათ სცნო საყოველთაო გაფიცვა.

გაფიცვა გამოიწვია ტარიფის ერთმა მუხლმა: მუშების მიღება-დათხოვის შესახებ. ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებას მეტის მეტათ უფრთხოდენ სტამბის მეპატრონენი. ამის გულისთვის სიყალბეც კი ჩაიდინეს მათი კავშირის წარმომადგენლებმა: უკვე მიღებული და შრომის კამისარის მიერ ხელმოწერილი ტარიფი გადესწერეს და შეცვალეს შიგ მათთვის არა სასიამოვნო მუხლი. მაგრამ ეს სიყალბე დროზე იქნა შემჩნეული. ამის გამო აღელვებული მუშები ერთსულოვნით გაიფიცენ.

გაფიცვის დროს მოლაპარაკებაში ჩაერია ადგილობრივი შრომის კამისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი. შეთანხმება მოხდა შემდეგ პირობებში. ადგი

ლიტიური მთავრობა გამოსცემს საერთო დეკრეტს მუშათა მიღება დათხოვნის შესახებ.

ამ დეკრეტის დებულებები სავალდებულო იქნება, როგორც მუშების, ისე მეპატრონეთათვისაც. ეს დეკრეტი დღიდან ერთი კვირის ვადაში იქნება გამოცემული.

საყურადღებოა ამ გაფიცვის დროს ერთი მოვლენა ისარგებლეს რა გაზეთების გამოუსვლელობით ბნელმა ძალებმა ქალაქს მოჰფინეს სხვა და სხვა სენსაციონური ჭორები. ამ ჭორების წყაროები გამომდინარეობდა, „თფილისის ლისტოკის“ და კავკასკოე სლოვოს“ რედაქციების საგენტოს საკუთნაოებიდან და უხვათ ეფინებოდა ქალაქს. ერთათ-ერთი გაზეთის „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს უწყებების“ საშვალებით. სტამბის მუშების საზოგადო კრებამ დაადგინა, რომ ამ „ოფიციალური“ ორგანოს გამოსვლა არ შეწყვეტილიყო.

მუშების ასეთი კეთილსინდისიერი გადაწყვეტილება ბოროტათ გამოიყენა ამ გაზეთის მენშევიკ-ესერულმა რედაქციამ და ისეთი რამეები აავსო თავისი ფურცლები ამ ხანებში, როდესაც სხვა გაზეთები არ გამოდიოდა, რომ გაფიცულთა კომიტეტის მოთმინების ფიალა აავსო და კითხვა დაისვა იმის დახურვის შესახებაც. რომ ამ ხანათ გაფიცვა არ შეწყვეტილიყო კომიტეტი ყუსათუოთ დაადგენდა იმის დახურვას, რადგან მან ვერ გაამართლა კრების იმედები და რამდენიმე დღეს ვერ შესძლო ნეიტრალიტეტის დაცვა. ამაზე ითქმის: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია.

# რუსეთის ქრონიკა.

### დეკრეტი კადეტების დატუსაღების შესახებ.

დეკრეტი რევოლუციის საწინააღმდეგო სამოქალაქო ომის ხელმძღვანელების დატუსაღების შესახებ. კადეტების პარტიის ხელმძღვანელი და დამფუძნებელი წევრები გამოცხადებულია ხალხის მტრებათ, ისინი დატუსაღებულ და რევოლუციონურ სასამართლოში უნდა იქნენ მიცემული. დეკრეტი ძალაში შედის მისი ხელის მოწერის დღიდან.

ხელს აწერენ სახალხო კომისარების საბჭოს თავმჯდომარე ლენინი, სახალხო კომისარები: ტროცკი, ავილოვი, სტუჩკა, მენჟინსკი, სტალინი, კრილენკო.

### კადეტების დატუსაღება.

სახალხო კომისარების საბჭოს ორდერით თავის ბინაზე დაატუსაღეს კადეტების პარტიის წევრები—კოკოშკინი და შინგარიოვი. გაცემული იყო ბრძანება როდიჩევის დაჭერის შესახებაც. როცა მის ბინაზე მივიდნენ, ის სახლში არ აღმოჩნდა. 2 საათზე როდიჩევი თავრიდის სასახლეში მივიდა, სადაც ის დააკავეს და სმოლნი ინსტიტუტში გაგზავნეს.

### თავრიდის სასახლეში

დილიდან თავრიდის სასახლე აივსო მატროსებით და წითელ რაზმელებით, რომელთაც დაიკავეს ყველა ოთახები ზალის გარშემო. ყველა შესასვლელგამოსასვლელი კარები დაკეტილია, დატოვებულია მხოლოთ ერთი გასავალი. ყველა ჩამოსულ დეპუტატებს წინადადება მიეცა მიმართონ ორგანიზაციულ ბიუროს სასახლეში შესასვლელ ბარათების მისაღებათ. დეპუტატების ნაწილმა უარი განაცხადა ამ ბარათების მიღებაზე და მათ სახალხო კომისარების საბჭოს ხელით გამოეცხადათ, რომ მათ ზალაში არ შეუშვებენ.

### პეტროგრადში სიწყნარეა.

ქალაქში მომიტინგებულ ნაწილათ სიწყნარეა. ზოგან ქუჩებში პატარ-პატარა მიტინგები ხდება. ხალხი არა სჩანს ქუჩაზე. შიშიანობა არაფერს ეტყობა.

### მუსულმანებს მუშები საბჭოების მთავრობის შესახებ

ფაბრიკის მუშების და მშრომელი გლეხობის საბჭოს პეტროგრადის მუსულმანთა ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 26 ნოემბერს დელეგატების კრებაზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანა:

„მივესალმებით მუშათა დეპუტატების საბჭოს და ვაცხადებთ ჩვენს სურვილს სავსებით დავემორჩილოთ და ყოველ მხრივ მხარი დაუჭიროთ სახალხო კომისარების საბჭოს. პროტესტს ვაცხადებთ (მუსულმანთა) ნაციონალურ საბჭოების წინააღმდეგ, რომლებმაც აქამდე არ გამოაცხადეს თანხმობა სახალხო კომისარების საბჭოსთვის მხარის დაჭერის შესახებ.

### რევოლუციონური ჯარების გამარჯვება.

უმაღლესი მთავარსარდალი ბელგოროდიდან იუწყება, რომ კურსკის გუბერნიის მეტი წილი რევოლუციონურმა ჯარებმა დაიკავეს.

### ბრძოლა დონის როსტოვში.

სამხედრო რევოლუციონურმა კომიტეტმა მიიღო ბოლშევიკების წინადადება ულტიმატუმი წაუყენოს კაზაკების მთავრობას, რომ ის გადადგეს და სამხედრო წესები მოხსნილ იქნას, 26 ნოემბერს ღამის პირველ საათზე გენერალ პოპოვის განკარგულებით კაზაკების და იუნკრების რაზმი შეეცადა დაეტუსაღებინა წითელი გვარდიის შტაბი. შტაბს ქვეითი ჯარები მიეშველნენ, რომელთაც განდევნეს კაზაკები. დილიდან ქუჩაში სროლა დაიწყო. წითელი რაზმელები და ქვეითი ჯარის რაზმი გარს შემოერტყენ კიევიდან გადმოყვანილ შკოლას და იქ მყოფი იარაღი აყარეს.

მიღებულია ცნობები, რომ როსტოვს ბოლშევიკური ჯარები შემოერტყენ გარს. ტელეგრაფი ბოლშევიკების ხელშია.

### კალედინის აჯანყება.

კალედინის მომხრეები ხალხის წინააღმდეგ ეშელონებს მოუძღვიან. მათ თავში უდგიან შტაბიდან გამოქცეული აფიცრები და მათ შორის ყოფილი მთავარსარდალი გენერალი ალექსეევი.

### ფინლიანდიის საოლქო სიეზდი.

სიეზდმა მიიღო რეზოლუცია დამფუძნებელი კრების შესახებ. „საბჭოების მთავრობა, როგორც კლასობრივი ძალა-უფლება, საუკეთესო ფორმაა მთავრობისა, რომელიც კაპიტალს ებრძვის. სოციალური რევოლუციის ეპოქაში ეს უმაღლესი საფეხურია მუშების და გლეხების პოლიტიკურ გამარჯვებაში. დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაადასტუროს მუშების და სალდათების სისხლით მოპოვებული ძალა-უფლება. თუ დამფუძნებელი კრება საბჭოების წინააღმდეგ წავიდა, ჩვენ საბჭოების მხარეს დავდგებით და მთელი ძალღონით დავიცავთ მუშათა, სალდათთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ძალა-უფლებას“.

ჯარის, ფლოტის და ფინლიანდიის მუშების მეოთხე საოლქო სიეზდი მიესალმება საბჭოების მთავრობას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისარების საბჭოს სახით. ფინლიანდიის სალდათები, მატროსები და მუშები აღუთქვამენ თქვენ ყოველ მხრივ დახმარებას კონტრ-რევოლუციონურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. კლასთა ბრძოლის უდიდესი განწვავების ჟამს მუშების და გლეხების რევოლუცია ჩვენში პოვებს ერთგულ მეგობრებს და თანამებრძოლთ. რევოლუციის დასამარცხებლათ ბურჟუაზია იმისთავის საბოტაჟს. უმაღლესი ჩინოვნიკები და საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურეები აცხადებენ გაფიცვას, რომელიც არღვევს სახალხო მეურნეობას და აუარესებს ჯარის მდგომარეობას. ჩვენ გამოვდივართ რევოლუციის ინტერესების დამცველათ და ჩვენს ძალებს ვაძლევთ საბჭოების მთავრობის განკარგულებაში საბოტაჟის წინააღმდეგ საბრძოლველათ.

# საზღვარ გარეთ

### რევოლუცია პორტუგალიაში არეულობა შიმშილობის ნიადაგზე.

პორტოდან დეპეშით ატყობინებენ მადრიდში, რომ ლისაბონში მთავრობის საწინააღმდეგო არეულობა მოხდა. არეულობა გამოიწვია სურსათ სანოვაგის უზომო გაძვირებამ. დაამტვრიეს საკონდიტროები და მაღაზიები, რომლებიც სურსათით ვაჭრობენ. მთავრობის ჯარებმა წესიერება აღადგინეს. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. აკრძალულია ქუჩაში გამოსვლა ღამის 9 საათიდან დილის 6 ს. საათამდე. დაჭრილთა რიცხვი 60-ს აღემატება. 70 კაცი დაატუსაღეს.

### მთავრობა საადმირალოში გამაგრდა.

რევოლუციონერების ხელმძღვანელობენ სინიდონიო პაეს, პოლკოვნიკი ბრანკო და როიადასი. მთავრობა საადმირალოში გამაგრდა

### ჯარები ხალხს შეუერთდნენ.

ქალაქში მყოფი ქვეითი და ცხენოსანი ჯარები და პირველი არტილერიის ბრიგადა, აგრეთვე ყველა სამხედრო შკოლები რევოლუციონერებს შეუერთდნენ და მიიმართებიან კომერციული მოედნისკენ, სადაც თავმოყრილია რესპუბლიკის გვარდია და მატროსების ნაწილი. ღამის ათი საათისთვის ნახევრამდე ...ყოფილა.

### სამხედრო წესები.

ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა. წესდების ... წევრებობის გამო პარლამენტის ... არ შედგა.

### მთავრობის ჯარების დამარცხება.

ქალაქის ქუჩებში სამ... დღის ... ლის შემდეგ მთავრობის ჯარები მარცხდნენ და იარაღი დაყარეს.

### მთავრობის გადადგომა.

ძმათა შორის სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ მთავრობამ თხოვნა ... გადადგომის შესახებ, რომ... რესპუბლიკის პრეზიდენტმა დ...

### დროებითი მთავრობის შედგენა.

ალფონს კოსტამ მთავრობა ... შესცვალა დროებითი მთავრობა. ... რეზა ალეგრინი.

### რევოლუციონერების მანიფესტი.

გამოქვეყნებულ მანიფესტში რევოლუციონერები აცხადებენ, რომ ... ჯანყება გამარჯვებით გათავდა, ... ჯება რევოლუციონური კომიტეტი შემდეგ მთავრობა, რომელმაც განაგოს ქვეყანა თავისუფლებისა და თან სწორობის საფუძველზე.

### ბოლგარიის პროლეტარიატი.

სოფიის ათი ათასი მუშა ... პროლეტარიატის სახელით ... რუსეთის რევოლუციონერ პროლეტარიატს, მოითხოვს დროებითი ზავის ... მოეწყოს ყველა ფრონტებზე და ... თქვამს მთელი ძალ-ღონით ბრძოლ... ვის სასარგებლოთ.

### ზავის აგიტაცია.

გერმანიის და ავსტრიის აეროპლანები ათასობით ფურცლებს ფანტავენ იტალიის ფრონტზე, რითაც აუწყებენ ჯარს, ზავის შესახებ მოლაპარაკება უკვე დაიწყოო.

კვირას 10 დეკემბერს, ხის დამამუშავებელთა კავშირის გამგეობა იწვევს

## საერთო კრებას

(პირველ კომერციულ სასწავლებელში, 19 თებერვლის ქუჩა № 2) ვთხოვთ ... ხანაგებს აუცილებლათ დაესწრონ.


## პირველი ნოემბრიდან გაზეთი

# ბრძოლა

## გამოდის ყოველდღიურათ.

გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს 2 მ.
ერთი თვით „ 2 მ.
ცალკე ნომერი „ — 10 კ.
მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი 07 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის“ და „კავკ. რაბოჩის“ კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.
2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.
3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი“ ძველი სემინარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო!** ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას“: მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.



ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.